

ოქმი #21
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2019 წელი, 23 აგვისტო
ქ. ოზურგეთი
11⁰⁰ – 13⁰⁰ საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ღურჯუმელიძე, ლ. საჯაია, ე. გორდელაძე, გ. კილაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ტ. აროშიძე, შ. გოგიბერიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. დოლიძე, გ. თოიძე.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ი. სირაძე

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 13, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლიც ერთი საკითხის-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-დამატებით დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ. დარჩია

თანამომხსენებელი: გ. მამაკაიშვილი

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა გ. კილაძემ დასვა შეკითხვა-სარეზერვო ფონდის ხარჯვის თაობაზე - უპასუხეს, რომ გახარჯულია 52.23%.

ბიუროს წევრმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ანგარიში კვლავ წარმოდგენილია ნაზარდი ჯამით, ქონების გადასახადის შესრულების მაჩვენებელი მაღალია, რაზედაც მიიღო შესაბამისი განმარტება. ასევე დაინტერესდა C ჰეპატიტისთვის გამოყოფილი თანხების რეგულირებით და 100% გრანტის მიმღები აბიტურიენტებისა და შესაბამისი სკოლების დასაჯილდოებელი თანხების მობილიზებით.

ანგარიშის ცალკე კვარტლის გეგმის შესაბამისად წარმოდგენა მოითხოვა ბიუროს წევრმა ლ. ბიგვაგამც.

ბიუროს წევრმა შ. გოგიბერიძემ კვლავ დააყენა საომარ მოქმედებებში მონაწილე ვეტერანებისათვის ერთჯერადად 100 ლარით დახმარების მიზნით თანხის გამოყოფის საკითხი. მერის მოადგილემ ი. სირამემ განაცხადა, რომ გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

ბიუროს წევრები შეთანხმდნენ, რომ საკითხი შეტანილი იქნება საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ.დარჩია

თანამომხსენებელი: ლ.საჯაია

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დადგენილების პროექტი საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, ამასთან საკრებულოს დარგობრივმა კომისიამ (ე.გორდელაძე) განიხილოს და წარმოადგინოს დასკვნა.

3. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. დარჩია

თანამომხსენებელი: ლ. საჯაია

საკითხი ბიუროს სხდომის მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: დ. დარჩია

თანამომხსენებელი: მ. გორგოშიძე

ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს- განკარგულების პროექტი განიხილოს საკრებულოს დარგობრივმა კომისიამ (გ. კილაძე) და წარმოადგინოს დასკვნა საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომაზე, რომელიც გადაწყვეტს მისი საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის საკითხს.


გადაწყვიტეს:

1. დღის წესრიგში გათვალისწინებული N1,2,4 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში. ამასთან ერთად N2,4 საკითხი - განიხილონ შესაბამისმა დარგობრივმა კომისიებმა (ე. ორდელაძე, გ. კილაძე) და წარმოადგინონ დასკვნები სხდომაზე.

2. N 3 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

3. ბიუროს მორიგი სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 2 სექტემბერს 12⁰⁰ საათზე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო